პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი არმიელი

287 (985)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი ამ ჟამად იმყოფება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. მან ინახულა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბრიანი. როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, მოსალოდნელია საფრანგეთისა და საბჭოთა რესპუბლიკის შორის მოლაპარაკების დაწყება ყველა სადავო საკითხების მოსაგვარებლად.

მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოველთვის მზად არის იქონიოს კეთილმეზობლური განწყობილება უცხოელ სახელმწიფოებთან და ურთიერთ სარგებლიანობის საფუძველზე მოაგვაროს ყველა სადავო საკითხები.

ამიტომაც საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების დაწყება ჩვენთვის მეტად სასიხარულო იქნება.

ტყუილად გვისაყვედურებენ კაპიტალისტური მთავრობები, განსაკუთრებით ინგლისი, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყვეთ მოლაპარაკების და შეუძლებლად ვხდიდეთ ასეთ მოლაპარაკებას. პირიქით, ამაში თვით ისინი არიან დამნაშავენი.

ავიღოთ იგივე საფრანგეთი. როცა საფრანგეთმა გვიცნო და შეუდექით მასთან სადავო საკითხების მოგვარებას, მან თავიდანვე ისეთი ხაზი აიღო, რომ შეუძლებელი გახდა რაიმე შეთანხმების მიღწევა.

ფრანგებმა მოგვთხოვეს მეფის ვალების გადახდა და აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მიაყენა ფრანგ მრეწველებს რუსეთში.

ამის საპასუხოთ ჩვენ წარუდგინეთ ჩვენი ანგარიშები: თქვენ ე. ი. ფრანგები ეხმარებოდით კოლჩაკს, იუდენიჩს და სხვა თეთრგვარდიელთა ღენერლებს, თქვენი შემწეობით მოკლულ იქმნა მრავალი ათი ათასი მუშა და გლეხი, თქვენ იყავით ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის დანგრევის მიზეზი და სხვა — ამიტომაც კეთილ ინებეთ გადაგვიხადეთ ეს თანხა და მაშინ ჩვენც გადაგიხდით თქვენ ვალს. გამოანგარიშების დროს გამოირკვა, რომ საფრანგეთმა პირიქით აქეთ უნდა დაგვიმატოს. ეს არ მოეწონა საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას და მოლაპარაკებაც შეწყვიტა.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. როცა ამერიკამ მოსთხოვა ვალების გადახდა საფრანგეთს, მან უარი უთხრა. „შენი ინტერესებისათვის მე სისხლი დავღვარე გერმანიასთან ომის დროს“-ო.

როცა იწყებოდა მოლაპარაკება ჩვენ ვეუბნებოდით საფრანგეთს: მოვაგვაროთ ყველა სადავო კითხვები ურთიერთ სარგებლიანობის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შენ უფრო წააგებ, ვიდრე ჩვენ. საფრანგეთმა არ დაგვიჯერა. მოხდა ისე როგორც ჩვენ ვლაპარაკობდით.

საბჭოთა კავშირი გაიზარდა, მოღონიერდა, განმტკიცდა. საფრანგეთი კი ეკონომიურად დაუძლურდა, ფინანსიურმა კრიზისმა მოშალა მისი ძლიერება.

ეს ნათელია დღეს ყველასათვის. საფრანგეთი ბევრს მოიგებს თუ ის მჭიდრო ეკონომიურ და სავაჭრო კავშირს გააბამს ჩვენთან. ამასთანავე საჭიროა მოაგვაროს ჩვენთან სადავო საკითხები ურთიერთ სარგებლიანობის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ ის იქნება წაგებული. ნურც იმას დაივიწყებს საფრანგეთი, რომ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა დღითი დღე ძლიერდება და მტკიცდება. და რაც უფრო მეტს იჯიუტებს საფრანგეთი, ის უფრო მეტს წააგებს, ვინაიდან რაც უფრო მეტი ხანი გავა, ჩვენ უფრო ნაკლებ დათმობაზე წავალთ.

## იმპერიალისტების ახალი შეთანხმება.

ინგლისის იმპერიალიზმი ყოველ ღონისძიებას ხმარობს წაართვას ოსმალეთს მოსულის რაიონი.

ეს ქვეყანა მდიდარია ნავთის წყაროებით. ამიტომაც არის, რომ ინგლისის მტაცებლები არ ეშვებიან მას და ყოველმხრივ ცდილობენ ხელი აალებინონ ოსმალეთს მოსულზე.

მაგრამ ოსმალეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა, რომელიც მიისწრაფვის განავითაროს თავისი მრეწველობა და მეურნეობა არავითარ შემთხვევაში არ სთმობს მოსულს. დღემდიც გრძელდება ერთა ლიგაში მოსულის საკითხის გარშემო მოლაპარაკება, მაგრამ უნაყოფოდ. ამ ჟამად მოსული ფაქტიურად ინგლისელების ხელშია. ოსმალეთი კი დიდ მოუთმენლობას იჩენს.

დღემდი ინგლისს მოსულის დაპყრობაში ხელს უშლიდა აგრეთვე საფრანგეთი. სამაგიეროთ ინგლისი ეხმარებოდა სირიელებს საფრანგეთის წინააღდეგ დაპყრობაში.

მაგრამ, როდესაც სირიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობამ ფართედ გაშალა ფრთები და ინგლისის ახალშენებშიც დაიწყო ყრუ მღელვარება, ინგლისს ზურგი აეწვა.

უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა საფრანგეთიც. ყოველივე ამან აიძულა ორივე ეს სახელმწიფო წასულიყვნენ ურთიერთ დათმობაზე. ინგლისელებმა ხელი აიღეს სირიელების დახმარებაზე, ფრანგებმა მხარის დაჭერა აღუთქვეს ინგლისს მოსულის საკითხში. ამრიგად მოხდა შეთანხმება ორ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის აღმოსავლეთის ერების ინტერესების ხარჯზე.

ცხადია ეს შეთანხმება მიმართულია აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ. ის კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო სასტიკი მტერია დაჩაგრულ ერების. იმპერიალისტებს შორის არ არსებობს კარგი და ცუდი. ყველა ისინი მოწადინებული არიან რაც შეიძლება მეტად გაყვლიფონ და გაძარცვონ აღმოსავლეთის ერები. ამიტომაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლის მთლიანი ფრონტი არა მარტო საერთაშორისო პროლეტარიატისა, არამედ ყველა დაჩაგრულ ერებისა.

ასეთ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა კავშირიც.

საბჭოთა სახელმწიფო უერთგულესი მეგობარია ყველა დამონავებულ ერებისა, რომლებმაც უნდა დაამყარონ მასთან მჭიდრო, ურყევი კავშირი. ასეთი მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ კი იმპერიალიზმის ყოველივე დაპყრობის ცდა უნაყოფოდ დამთავრდება.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### მეორე სახალხო არმია შეტევაზე გადავიდა.

გო-სუნ-ლინი მუკდენს უახლოვდება.

ჩან-ძო-ლინის ჯარები იხევენ მუკდენიდან და სძარცვავენ მოსახლეობას.

იაპონიას განზრახული აქვს ახალი ჯარების გაგზავნა მანჯურიაში.

მეორე სახალხო არმიის ჯარები შეტევაზე გადავიდა.

დაიკავეს რამოდენიმე ახალი ადგილი.

გო-სუნ-ლინის ჯარები უახლოვდებიან მუკდენს. ხმებია, თითქოს დაიწყო მოლაპარაკება მუკდენის უბრძოლველად ჩაბარების შესახებ.

მუკდენელთა ყოფილ სამხედრო რაზმებმა ერთგულება გამოუცხადეს ფინ-იუი-სიანს. მათ ეწოდა ქეხოლის სახალხო არმია.

ჩან-ძო-ლინის ჯარები იხევენ მუკდენიდან და თან სძარცვავენ მოსახლეობას. უცხოელები შიშით თავზარდაცემული არიან.

თუ საქმე გართულდა, იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს გააგზავნოს მანჯურიაში ახალი დამატებითი ჯარები.

## საფრანგეთის მთავრობაში კვლავ ახლოვდება კრიზისი

საფრანგეთის მინისტრთა საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს საკითხს: სურს თუ არა დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიას მთავრობასთან თანამშრომლობა. მთავრობა გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხის გამორკვევის შემდეგ.

## ირაქის გარშემო.

### ინგლისის ოფიციალური განცხადება ირაქის შესახებ.

ინგლისის მთავრობა ამ დღეებში გამოვა ოფიციალური განცხადებით თავისი პოლიტიკის შესახებ ირაქში.

ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ ანგორის სამხედრო წრეებში აუცილებლად სცნობენ დაცლილ იქნას დროებითი სანაპირო ხაზი ოსმალეთსა და ირაქს შორის.

მეორეს მხრივ ოსმალეთის სახელმწიფოებრივი მოღვაწეები აღნიშნავენ, რომ ასეთ ნაბიჯს ჩამაფიქრებელი შედეგები მოჰყვება ოსმალეთისთვის. ამასთან დაკავშირებით ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სცდილობს თითქოს გააჭიანუროს... ხანგრძლივოს მოსულის საკითხი მომავალ წლის მარტამდი.

## ნავთის ახალი რაიონები ირაქში.

ინგლის-სპარსეთის კომპანიამ აღმოაჩინა ირაქში ნავთის ახალი რაიონები. ეს რაიონები წლიურად შემოიტანს დაახლოებით მილიონ ტონა ნავთს.

## მოსკოვის სპარსელთა ახალშენის დეპეშა.

მოსკოვის სპარსელთა ახალშენმა რიზა-ხანის მეფედ არჩევამდი გაუგზავნა სპარსეთის დამფუძნებელ კრებას მილოცვის დეპეშა კაჯართა გვარეულობის ჩამოგდების შესახებ. დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ სპარსეთში დამყარებულ იქნება რესპუბლიკა.

ამ დეპეშის გამო „შეფაკე სორხი“ სწერს, რომ არ შეიძლება სპარსეთს თავს მოახვიო ხალხისთვის უცხო აზრები.

„სპარსეთის ახალშენს—ამბობს გაზეთი—არ ესმის სპარსეთის ხალხის დღევანდელი განწყობილება და სურვილები. სპარსეთის ახალშენი სცდება როცა ფიქრობს, თითქოს უცხოელებს ძველებურად შეეძლოთ დიდი რეფორმების მოხდენა სპარსეთში. ძველი მეფის გვარეულობის გამოცვლა აკმაყოფილებს ხალხის ნება-სურვილებს“.

## ჩეხო-სლოვაკიაში.

### ბანკეტი საბჭოთა საელჩოში.

ჩეხო-სლოვაკიაში საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლად დანიშნულ იქნა ლენსკი. ლენსკის საპატივცემოდ საელჩოში გაიმართა ბანკეტი. დაესწრო ჩეხო-სლოვაკიის სამეურნეო გაერთიანებათა 150-დი წარმომადგენელი. მისალმების სიტყვებში ორატორები გამოსთქვამდენ სურვილს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის მოგვარებისა და მასთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარების შესახებ.

დანიშნული ტფილისის აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა, ორშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე „11 სექტემბერს დაღუპულ ამხანაგების სახელობის დარბაზ“-ში (ყოფ. ტფილისის აღმასკომის) შესდგება ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე:

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. მოხსენება მაზრაში მუშაობის შესახებ;
2. მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# საბჭოთა კავშირში.

## პარტყრილობის დელეგატების ჩასვლა მოსკოვში.

15 დეკემბერს მოსკოვში პარტყრილობისთვის თავი მოიყარა 900 დელეგატმა.

მოსკოვში ჩავიდენ აგრეთვე უპარტიო დელეგატები, რომლებიც გამოვლენ ყრილობაზე ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან მისალმებით.

## უცხო სიტყვების ახსნა

**ანგორა**—ოსმალეთის დედაქალაქი.

**ბანკეტი**—საზეიმო საუზმო, სადილი, ან ვახშამი, გამართული ვისიმე საპატივცემოდ.

**ფონდი**—თანხა, დაგროვილი ფული.

**პოლიტიკა**—მთავრობის ან რომელიმე პარტიის მოქმედების ხაზი.

**რეფორმა**—სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში ან რაიმე დაწესებულებაში ცვლილების შეტანა, ისე, რომ საფუძველი უცვლელი რჩება.

**ოფიციალური**—ცნობა ან განცხადება, რომელიც გამოდის მთავრობის ან დაწესებულებისაგან; ოფიციალურ განცხადებაში სრული პასუხისმგებელია ის დაწესებულება, რომლისაგანაც ის გამოდის.

**ირაქი**—ინგლისზე დამოკიდებული პატარა სახელმწიფო ოსმალეთის საზღვარზე. ირაქში ზოგიერთ ადგილებზე დავა აქვს ამჟამად ინგლისსა და ოსმალეთს.

**ფაქტიური**—არსებითი, ნამდვილი.

## უჯრედის მუშაობა.

**საარტილ. ლეგ. მე-3 ბატ. ა. ლ. კ. კ. უჯრედში.**

8 დეკემბერს შესდგა სამთო ბატარეის და შტაბის გუნდის ა. ლ. კ. კ. ჯგუფების შეერთებული სხდომა. სხდომას ორივე ჯგუფის სრული შემადგენლობა დაესწრო. კრებამ წინა კრების ოქმი დაადასტურა. პარტიის მე-4 რაიონული კონფერენციის მუშაობა კრებას გააცნო ერთ-ერთმა დელეგატმა. სხდომამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. ჩვენი უჯრედის ორ ჯგუფად მისი მრავალ რიცხოვანობი. გამო გაყოფვის აზრს კრება სავსებით იზიარებს. ამიერიდან ჩვენი უჯრედი ორ ჯგუფად იქმნება დაყოფილი და მეორე ჯგუფის ორგანიზატორი იმავე სხდომაზე იქნა არჩეული. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მნიშვნელობა კრებისთვის ნათელია, ამიტომ მას იწერენ არა მარტო კომკავშირელები, არამედ უპარტიოებიც. ამავე კრებაზე გარჩეულ იქნა მორიგი საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უჯრედი საკმაო აქტივობას იჩენს.

პარტკორი შალვა ბურაკაძე

# პარტიული და ახ. კომკავშირის ცხოვრება

**1-ლი ლეგიონის 1-ლი ასეული.**

12 დეკემბერს შესდგა ლეგიონის 1-ლი ასეულის კომუჯრედის დახურული კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები 1. კომუჯრედის მდივნის საანგარიშო მოხსენება, 2. ახალი მდივნის არჩევა, 3. ასეულის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის საანგარიშო მოხსენება და ხელახალი არჩევნები, 4. დეკემბრის თვის მუშაობის გეგმის დამტკიცება, 5. თვითმოქმედ ორგანიზაციებზე პარტიულ ამხ. გების მიმაგრება და 6. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. კვინიკაძე, რომელიც აშუქებს კომუჯრედის ერთი წლის მუშაობას. მოხსენების შემდეგ კრების მიერ იქნა გამოტანილი რეზოლუცია, სადაც ბიუროს მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლათ.

კომუჯრედის მდივნათ არჩეული იქნა ისევ ძველი მდივანი, ამხ. შ. კვინიკაძე, როგორც ენერგიული მუშაკი ამ დარგში.

მესამე საკითხში მოხსენებით გამოდის ასეულის კედლის გაზეთის სარედაქ. კოლეგიის წევრი, რომელიც ნათლად და მკაფიოთ აშუქებს თავის მუშაობას. მოხსენების შემდეგ კრებამ მუშაობა სარედაქციო კოლეგიისა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. ახალი რედკოლეგია არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ბურჯანაძე, ბარამიძე წევრებად, კახიანი—კანდიდატად.

კრებაზე წაკითხული იქნა დეკემბრის თვის სამუშაო გეგმა, რაც ერთხმად იქნა მიღებული.

თვითმოქმედ ორგანიზაციებზე მიმაგრებულ იქნენ ამხ. ამხ. ფაჩულია და თოდუა. მიმდინარე საკითხებში დასმული იქნა კითხვა ტყავ ტრესტის უჯრედზე ამხ. მიმაგრების შესახებ, ლენკუთხეში ამხ. დანიშვნა საუბრების ხელმძღვანელად და დრამწრის ხელმძღვანელის არჩევა. ტყავტრესტის უჯრედზე მიმაგრებულ იქნენ ამხ. ერაძე და ფაჩულია, ლენკუთხეში მიმაგრებულ იქნა ამხ. წოწორია და დრამწრის ხელმძღვანელათ არჩეულ იქნა ამხ. გულიაშვილი. დაბოლოს დაისვა საკითხი საღამოს მომწყობ კომისიის არჩევაზე, რომელშიდაც იქნა არჩეული ამხ. წოწორია, ბუხრაძე, გამრეკელი, გაბუნია და უჩიძე.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ასეთი გულგრილობა დაუშვებელია.

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის უმწყობრო და სამწყობროს ა. ლ. კ. კ-შირის უჯრედის მიერ იყო დამტკიცებული წევრად რამოდენიმე წითელ-არმიელი. ეს წითელ არმიელები დათხოვნილი იყვნენ უვადო შვებულებაში, მათ მისცეს დროებითი მოწმობები და სხვა არაფერი. ნუ თუ შემდეგში ამ წითელ-არმიელებს ყურადღება არ უნდა მიქცეოდა?! უკვე 12 დღეა და პირადი საქმეები ჯერ კიდევ არ არის გადმოგზავნილი საქალაქო რაიკომში და წითელ-არმიელები დაიარებიან ჯერ-კიდევ მიუმაგრებელი რომელიმე უჯრედზე. საჭიროა მიაქციოს სკოლის ბიურო კოლექტივმა ყურადღება ამ გარემოებას.

ყოფილი წ. არ. შორსუ

# შეისწავლე სამხედრო საქმე.

## შეისწავლე აირები.

**აირი ძლიერი იარაღია მხოლოდ გამოცდილ ხელში.**

უკანასკნელ იმპერიალისტურ ომში, 1914—1918 წლებში პირველად იქნა ხმარებული მოპირდაპირის განმანადგურებელი იარაღი—აირი. ამჟამად ჩვენ გვყავს ქიმიის მეგობართა საზოგადოება და საზოგადოება ავიაქიმი. ჩვენ უნდა ვემზადოთ, რათა მომავალი ომი თავს არ წამოგვადგეს გულხელდაკრეფილებს და დიდი ზარალი არ მოგვაყენოს.

ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე ვალდებულია ისწავლოს მტრის აირებისაგან თავდაცვა. მით უმეტეს სამხედრო მსახურებმა უნდა იცოდენ, თუ როგორ დაიცვან თავი მტრის აირებისაგან და ამას გარდა თვითონ შეეძლოთ გაზების ხმარება მტრის წინააღდეგ.

მაგრამ რომ შეგეძლოს აირების ხმარება და მათგან თავდაცვა, საჭიროა წინასწარ შეისწავლო აირები. ჩვეულებრივად, სიტყვა აირები შეიცავს შხამიან ნივთიერებათა ყველა სახეს. ეს შხამიანი ნივთიერებანი შეიძლება სამნაირ მდგომარეობაში იყოს: აირისებურ, სითხისებურ და მაგარ მდგომარეობაში. აირისებურია, როცა ის ეფინება მიწას ნისლივით (კვამლივით), მაგრამ ხშირად ამ მდგომარეობაში ის შეუმჩნევია თვალისთვის. სითხისებური, ეს არის ისეთი შხამიანი ნივთიერებანი, რომლებიც მოიფანტებიან მიწაზე შხეფებად და შემდეგ იწყებენ აორთქლებას, რითაც სწამლავენ მტრის ცოცხალ ძალებს. და ბოლოს შხამიან ნივთიერებათა მაგარი სახე, რომელიც შესდგება ფხვნილისაგან. ფხვნილს მიმოფანტავენ მიწაზე და ამ რიგად იწამლება განსაზღვრული უბანი.

ყველა ეს შხამიანი ნივთიერებანი იყოფა ხანგრძლივ (გამძლე) და არა ხანგრძლივ (ნაკლებ გამძლე) სახეებად, ე. ი. ზოგი აორთქლდება და გაქრება ჩქარა, ზოგიც შედარებით დიდხანს იმყოფება მიწის ნიადაგზე.

შხამიანი ნივთიერება მოქმედობს ცოცხალ ორგანიზმზე (სხეულზე). ის გაჰკვეთს სულიერ არსებას, იწვევს ცრემლის დენას, ცხვირცემინებას, იარებს სხეულზე ან და სრულიად სწამლავს. ამას გარდა შხამიან ნივთიერებას აქვს ფერი და სუნი. ყოველნაირი შხამიანი ნივთიერება საშიშარი და მავნებელია ორგანიზმისთვის (სხეულისთვის), მაგრამ ჩვენ გვაქვს მისი საწინააღმდეგო საშუალება—აირმსპობი, რომელიც უნდა ჰქონდეს თვითეულ მეომარს რიგიანად შენახული და დაცული.

ი. ბ.

## ამოცანა №5

გუშაგი სდგას გამასწორებელ სახლის გარე კედელთან. ეზოში სეირნობენ პატიმრები.

უცებ პატიმარი ხტება ზღუდეზე და გარბის ახლო შესახვევისაკენ.

როგორ იქცევა გუშაგი ასეთ შემთხვევაში?

ი. ბ.

## გამასწორებელ სახლთან მდგომ გუშაგის მოვალეობანი

პატიმართა დასაცავად ინიშნება გუშაგები. ეს გუშაგები დაყენებულ იქნებიან როგორც შიგნით, შენობაში, რომელშიაც იმყოფებიან პატიმრები, ისე შენობის გარედაც.

შენობის გარედ, გარე კედელთან მდგომი გუშაგი თვალყურს ადევნებს, რათა პატიმრებმა არ გააფუჭონ ფანჯრების ჩარჩოები და რკინაბანდები, არაფერი გადმოისროლონ ფანჯრებიდან ზღუდეზე და არ გააფუჭონ კედლები (არ გამოსჭრან). გუშაგი თვალყურს ადევნებს, რათა პატიმრებმა არ ელაპარაკონ გამვლელთ, ხოლო ეს გამვლელები არ ჩერდებოდენ საპატიმროს ახლოს და არ აძლევდენ პატიმრებს რაიმე ნიშნებს და სხვა.

თუ რომ პატიმარი ამ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, გუშაგი ატყობინებს ამის შესახებ ყარაულის უფროსს. თუ რომ დრო არ ითმენს, იმ შემთხვევაში გუშაგი თვითონ ღებულობს ზომებს წესრიგის აღსადგენად.

თუ საჭირო იქნება, გუშაგს შეუძლია იხმაროს იარაღი წესრიგის აღსადგენად. გუშაგი ვალდებულია თვითონ გადასწყვიტოს რით სჯობს მოქმედება: ტყვიით, ხიშტით თუ კონდახით.

შენობის შიგნით, პატიმრების საკანთან მდგომი გუშაგი თვალყურს ადევნებს კარის ფანჯრიდან (ჭუჭრუტანიდან) პატიმრების საქციელსა და მოქმედებას. თუ რომ შეამჩნევს პატიმრები არღვევენ წესრიგს, ის აცნობებს ამის შესახებ ყარაულის უფროსს. თუ არ აქვს დრო შეატყობინოს, გუშაგი იქცევა ისე, როგორც მოითხოვს გარემოება, აქ მას უფლება აქვს, თუ კი საჭირო შეიქნა, იხმაროს იარაღიც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გუშაგმა საკნების ფანჯრებს. მან არ უნდა მისცეს ნება პატიმრებს სიმღერის, თამაშის, ტაშის ცემის და საერთოდ ხმაურობის, ვინაიდან ასეთ გარემოებაში პატიმრებს ადვილად შეუძლია გაიყვანონ კედელში ხვრელი, გადახერხონ რკინაბანდი ფანჯარაზე და გუშაგმა კი ყურადღების ზაურში ვერაფერი შეამჩნიოს. ამას გარდა პატიმარმა შეიძლება განგებ დაუწყოს გუშაგს ლაპარაკი, მოეფაროს ფანჯარას და მოარიდოს ამრიგად გუშაგის თვალს რაც შიგნით, საკანში ხდება. გუშაგს არ აქვს უფლება ელაპარაკოს პატიმარს, არავის არ უშვებს მასთან განმრინებელისა და ყარაულის უფროსის ნება დაურთველად.

ი. ბ.

# საიდან წარმოიშვა ქრისტეს შობის დღესასწაული

**იყო თუ არა ქრისტე?**

25 დეკემბერს ქრისტეს შობის დღეთ ასახელებენ. ბევრ წითელ არმიელს დაებადება კითხვა, თუ რატომ არ დღესასწაულობენ არმიაში ამ დღეს ისე, როგორროც ეს სოფლებში ხდება.

სანამ ამაზე უპასუხებდეთ, გავარჩიოთ—ვინაა ქრისტე და საიდან წარმოსდგა რწმენა მისი დაბადების შესახებ.

მეცნიერება, რომელიც იკვლევს რა ხდებოდა ძველ დროებაში, სცდილობდა გაეგო იყო თუ არა ქრისტე? მაგრამ როცა განიხილეს ძველი დროის ყველა წიგნები და ჩანაწერები, აღმოჩნდა, რომ არც ერთ წიგნში ქრისტეს დაბადებისა და ცხოვრების შესახებ არაფერია ნათქვამი. არის მხოლოდ ერთი წიგნი—სახარება, რომელიც ლაპარაკობს ქრისტეს დაბადების შესახებ. მაგრამ თუ მას ყურადღებით წავიკითხავთ, დავინახავთ, რომ სახარების ოთხივე დამწერი ლაპარაკობენ ქრისტეზე სხვადასხვანაირად, ხოლო იოვანე ქრისტეს დაბადებაზე სრულიად არაფერს ამბობს. აქედან სჩანს, რომ მარტო სახარება ამ მხრივ სანდო და სარწმუნო არ არის. მით უმეტეს, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, სახარება დაწერილია დიდი ხნის შემდეგ ქრისტეს გარდაცვალებიდან და დაწერილია არა მისი მოწაფეების, არამედ 24 ხუცესის მიერ ხმებისა და გადმოცემების მიხედვით. თვითონ ამ ხუცებს, ცხადია, ქრისტე არ უნახავთ.

**შობის შესახებ მოთხრობა არ ახალია, ძველია.**

ამის შემდეგ დაუწყეს შედარება სხვადასხვა ხალხთა სარწმუნოებასა და ქრისტიანულ სარწმუნოებას და იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ ყველა ეს სარწმუნოებები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

ადამიანები, რომლებიც დიდი ხნით ადრე სცხოვრობდენ ეგვიპტესა და საბერძნეთში, ეწეოდენ მიწათმოქმედებას. სასოფლო მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მზესა და წვიმას, და ძველ ხალხს სწამდა, რომ მზის სინათლე ღმერთი არისო. ზამთრის იმ დროს, როცა დღე მატულობს დეკემბრის ბოლოდან, ყველა ხალხები აღნიშნავდენ დიდი დღესასწაულებით მზე—ღმერთის დაბადების საპატივცემოდ, რაც მოასწავებდა ნათელი სულის გამარჯვებას ბნელ სულებზე.

სჩანს, რომ შობის დღესასწაული ჩვენ გადმოვიღეთ იმ ხალხებიდან, რომლებიც თავიანთ ღმერთებს მზის ღმერთებს უწოდებდენ,

თუ რომ დავუჯერებთ ამ ღმერთების დაბადებას, ყველა ისინი არაჩვეულებრივად იბადებოდენ. არა ისე, როგორც ცოცხალი არსებანი, არამედ უსათუოდ სულიწმინდის საშუალებით. განსაკუთრებით ჩამოგავს ქრისტეს დაბადებაზე გადმოცემას ინდოეთის ღმერთის ბუდდას დაბადებაზე გადმოცემა.

აი რას ამბობს ეს გადმოცემა: რომ გაეთავისუფლებია ყველა ცოცხალი არსებანი ტანჯვისა და სიკვდილისაგან, მან გადასწყვიტა განხორციელებულიყო მიწიერ ქალის საშუალებით და ამოირჩია ამისთვის „უბიწო“ ქალწული მაია (ქრისტიანებს ჰყავს მარიამი).

როცა ის იბადებოდა, ცაზე გამოჩნდა ვარსკვლავი. (ქრისტეს დაბადების დროსაც, გადმოცემის მიხედვით, გამოჩნდა ვარსკვლავი, რომლითაც მოგვებმა მიაგნეს დაბადების ადგილს).

ამას გარდა არის მსგავსება ქრისტეს დაბადებასა და ებრაელების წინასწარმეტყველ მოსეს დაბადებას შორის. მეფე იროდემ ბრძანა დაეხოცათ ყველა ბავშვები და ეგვიპტის მეფემ—ფარაონმაც ასეთი განკარგულება გასცა მოსეს დაბადების დროს. მაგრამ ქრისტეცა და მოსეც „სასწაულით“ გადარჩენ.

აი, სწორედ აქ შესცდა სახარების შემდგენლები. მეფე იროდე მომკვდარა რამოდენიმე წლით ადრე იმ წლამდი, რომელიც ითვლება ქრისტეს დაბადების წლად.

გამოდის, რომ ქრისტეს დაბადების შესახებ ახალი მოთხრობაც კი ვერ შეთხზეს, არამედ გადმოიღეს ის სხვა ხალხების მოთხრობებიდან.

(დასასრული იქნება)

ხ. ს.

„ქ. ვ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## კავშირი სოფელთან.

მე-5 ტერლეგ. მე-3 ათასეულის მუშაობა.

შეკრების შემდეგ ჩვენი ათასეული შეუდგა თავის ამოცანების და მოვალეობის ა'რულებას. ჩვენი ათასეულის ტერარმიელები მოედო ახლო მდებარე სოფლებს სამკითხველოების დასაარსებლად და არსებულის გასაჯანსაღებლად, გლეხებსა და სამხედრო ნაწილთა შორის კავშირის ადსადგენად. ჩვენს ათასეულს სამი სოფელი ჰყავს აყვანილი თავის შეფობის ქვეშ. 1) მაკვანეთი, 2) კვაჭილდი და 3) კახური. ამ სოფლებს ყოველ დღიურად ეგზავნება გაზეთები, სახელმძღვანელოები პოლიტიკურ და სამეურნეო დარგებისა. აგრეთვე უფ-პოლიტ-შემადგენლობის მიერ გამოყოფილი კომისია ყოველ კვირა დღეებს ატარებს საუბრებს გლეხებს შორის, რითაც უკანასკნელნი დიდი კმაყოფილი რჩებიან. ასე ვანხორციელებთ წითელი ჯარის და სოფლის კავშირს.

ელპიტაშვილი

## შაბათობა ჩვენთან.

მე-2 ლეგიონი.

ამასწინეთ ჩვენს ლეგიონში მოეწყო შაბათობა. ახალწვეულებს ჯერ კიდევ არ ესმოდათ შაბათობის მნიშვნელობა. დილას მთელი ლეგიონის შემადგენლობა დაეწყო შტაბის წინ და უცდიან განკარგულებას, თუ რომელი ასეული სით გაემგზავრება სამუშაოდ. ცოტა ხანი, და ლეგიონის მორიგე ანაწილებს სამუშაოს და ასეულები სიმღერით, სამუშაო იარაღებით ხელში, გაემართენ ნაჩვენებ ადგილებზე. დაიწყო გაცხოველებული მუშაობა; ყველას სახე უცინის. ერთი ეკითხება მის გვერდში მდგომ ამხანაგს:

—ოჰ, ბიჭო, რა კარგია როდესაც ასე ბევრი ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს. მეორე უპასუხებს:

—კაცო, დაღლილობას ვერ ვგრძნობ, რადაც მიხარია. ამ დროს მათთან მიდის ძველი წვეული წ. ა. და უხსნის, რომ ჯარში სულ ასეთი მხიარულობაა, ხომ ხედავთ მეთაურებიც მუშაობენ და ჩვენც ყველა ვაშენებთ და ვალამაზებთ ჩვენი წითელი ყაზარმის ეზოსი.

მთელი მუშაობა სრულდება სიცილით და ხუმრობით.

ვ.—ძე.

## ჩვენც კარგად მოვეწყვეთ და კარგა დაც ვმეცადინეობთ.

მეოთხე ლეგ მეჯვრისხევის წერტი.

ჯერ კიდევ ადრე, სანამ დაიწყებოდა წვევამდელთა შეკრება, აღნიშნულ წერტზე მიმაგრებული უფ-პოლიტ-შემადგენლობა გაემგზავრა წერტის მოსაწყობად, და შემდეგ კი მზადების ჩასატარებლად.

წერტისთვის მოცემული ბინა იყო მოუწყობელი. მაგრამ უფ-პოლიტ-შემადგენლობამ ადგილობრივი აღმასკომის დახმარებით შეძლო ამ შენობის კარგად მოწყობა. ჩვენ გავაკეთედ სკამები და მაგიდები, მოვაწყვეთ ლენინისა და სამხედრო კუთხეები და სხ.

პირველ დეკემბერს დავიწყეთ წვევამდელთა მზადება. შეკრება კარგად ჩატარდა. დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია და არც აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმე შემთხვევას. ადგილი აქვს უფრო დაგვიანებას.

წვევამდელთა მეცადინეობის დაწყების დღეებში წერტზე მოწვეულ იქნა მათი საერთო კრება, სადაც არჩეულ იქნა კედლის გაზეთის სარედაქ. კოლეგია და ცნობათა ბიურო. ამავე კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება სამხკორთა მუშაობის ამოცანებზე და ბოლოს მოუწოდეს დამსწრეთ მიიღონ მონაწილეობა ამ დარგის მუშაობაში.

სამ დეკემბერს მოწვეულ იქნა წვევამდელ კომკავშირელების საერთო კრება. ამ კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება კომკავშირის მომავალი მუშაობის ამოცანებზე წერტზე. კრებამ კომკავშირის ჯგუფის მდივნად აირჩია ამხ. ელიაური თვით წვევამდელებიდან.

ამ ჟამად წერტზე მოგვდის გაზეთები; „კომუნისტი“ და „წითელი არმიელი“.

მადლობის ღირსია ადგ. აღმასკომი, რომელიც დაუღალავად მუშაობს და ყოველ მხრივ ეხმარება წერტის კარგად მოსაწყობად.

გ. ადამია.

## ლიტერატურული გასამართლება.

3-ე ლეგ. 1-ლი ასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად ასეულში მოეწყო ზარმაც წითელ არმიელის გასამართლება.

გასამართლებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ყველა წითელ არმიელები. ბრალმდებლათ და დამცველებადაც წითელ არმიელები—ახალწვეულები იყვენ. გასამართლებას დაესწრენ პა უხისმგებელი ამხანაგებიც, რომლებიც ჩვენთან ერთად მონაწილეობას ღებულობდენ გასამართლებაში.

ბრალდებულ ნიკა ზარმაცაძეს ბრალდებოდა, სიზარმაცე და ლენინის კუთხეში მეცადინეობის დროს სხვა წითელ არმიელებისათვის ხელის შეშლა და სხვა.

ბრალდებული გამტყუნებული იქნა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე.

კარგი იქნება ასეთი გასამართლება ხშირად მოეწყობოდეს, რადგან ის დიდ ინტერესს იწვევს ამხანაგებში.

სამხკორი ფიფო ბიკაშვილი.

## დავიწყეთ პრაქტიკული მეცადინეობა.

მე-3 ლეგ. სკოლა.

მეცადინეობის თეორიული კურსი უკვე დასრულდა სკოლაში. ამჟამად კურსანტები მეცადინეობენ პრაქტიკაში, რომლის დასრულების შემდეგ მოხდება სკოლის გამოშვება.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე დიდ ხალისს და მონდომე'ას იჩენენ კურსანტების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უფრო მეტ დროს ვანდომებთ მეცადინეობას, ვინენ განაწილების მიხედვით ზვაქვს მოცემული.

სამწუხაროდ სკოლაში არა გვაქვს წესდებები ქართულად, რაც მეტად აძნელებს მათ შესწავლას, რადგან რუსული თითქმის არც ერთმა არ იცის. გამოცდების დრო მოახლოვებულია. განვლილის განმეორებისათვის არ არის დრო. საჭიროა მოგვარდეს წესდებების ქართულად გამოშვების საქმე, თორემ ამხანაგებს მეტად გაუჭირდებათ და თითქმის შეუძლებელი იქნება საჭირო ცნობების შესწავლა მათთვის.

სამხკორი კენჭაძე.

## ხელოვნების მუშაკთა კავშირი სდუმს.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა ამ ორი წლის წინათ აიღო კულტურული შეფობა ქართული ჯარის ნაწილებზე. შეფობა გამოიხატება დროგამოშვებით წარმოდგენა-საღამოების მართვაში წითელ-არმიელებისთვის.

უნდა ითქვას, რომ კავშირის მუშაობა ვერ იყო ამ ხნის ანმავლობაში დამაკმაყოფილებელი და ის იმედება, რომლებსაც ამყარებდა ქართული წითელი ჯარი მასზე, ვერ გამართლდნენ სავსებით.

წრეულსაც, თუმც ორი თვეა რაკ გაიხსნა სეზონი თეატრებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით კავშირი სდუმს და არ ფიქრობს თავის დანაპირების შესრულებას.

ხელოვნების მუშაკთა კავშირო! დროა ამოიღო ხმა, არ ვარგა შვილობილების დავიწყება.

ელეაზარ.

## უკლებლივ გამოცხადდენ.

ხრესილის წვევამდელთა წერტი.

ჩვენს წერტზე მეცადინეობა დაიწყო 1-ლი დეკემბრიდან. მიუხედავად ცუდი ამინდისა პირველდღესვე გამოცხადდენ ნახევარზე მეტი ამხანაგები, ხოლო მეორე დღეს ყველა მოვიდა უკლებლივ. ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს წერტზე, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

მოვაწყვეთ ლენინის კუთხე. გამგედ დანიშნული გვყავს საკმაოდ მომზადებული ამხანაგი. ჟურნალ-გაზეთებით წვევამდელები უხვად ვსარგებლობთ ლენინის კუთხიდან. მოგვდის აგრეთვე ხუთი ცალი გაზ. „წითელ არმიელი“, რაც ძლიერ აინტერესებთ ამხანაგებს.

გამოყოფილი გვყავს აგრეთვე მომზადებული ამხანაგები კუთხეში ხმამაღალი კითხვის საწარმოებლად. წერტზე კედლის გაზეთიც გამოდის „წვევამდელთა ხმა“-ს სახელწოდებით. გაზეთი ორკვირეულია.

კუთხეში მოწყობილი გვაქვს აგრეთვე სხვა და სხვა გასართობები.

განზრახულია ლიტერატურული გასამართლებების გამართვა, რისთვისაც ჩვენი უფროსები გაფაციცებით ემზადებიან წვევამდელებთან ერთად.

წვევამდელი პ. ნანიკაშვილი.

# წვევამდე მზადების წერტებზე.

## წვევამდელთა მუშაობა.

2-ე ტერ-დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული.

თითქმის ორი კვირაა მას შემდეგ, რაც წვევამდელებმა დავიწყეთ მეცადინეობა. მიუხედავათ ასეთ მოკლე დროისა ჩვენ შევძელით ბევრი რამეს გაკეთება.

ასეულთან დაარსდა ა.ლ.კ.კ. კოლექტივი, რომელმაც აირჩია ბიურო. ამ უკანასკნელის და პოლიტხელის ხელმძღვანელობით მოეწყო ლენინის და სამხედრო კუთხე და აგრეთვე კითხვა-პასუხის ყუთი.

ბიუროს ხელმძღვანელობითვე საერთო კრებაზე არჩეული იქნა გაზეთის სარედაქციო კოლეგია და დაარსდა დრამ-წრე, რომლებიც შეუდგა მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიურომ ყოველივე მუშაობაში შესძლო უპარტიოების ჩაბმა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგი ამხანაგი გულგრილად ეკიდება, როგორც სამხედრო მომზადებას, ისე კრების სისტემატიურ დასწრებას, მაგრამ ბიურო ამასაც ენერგიულად ებრძვის. შემოღებულია სასტიკი დისციპლინა კომკავშირელებს შორის.

მეთაურთა შემადგენლობაც გულმოდგინეთ მუშაობს წვევამდელებთან.

უფრო მეტი ენერგიულობა, მეტი კავშირი წვევამდელებსა და მეთაურთა შემადგენლობას შორის და წვევამდე მომზადების ამოცანები 100 პროც. შესრულებული იქნება.

წვევ. სამხკორი მანჯგალაძე.

## დიდი ჯიხაიშის წერტის ცხოვრებიდან.

დიდი ხანი არ არის, რაც წერტზე გაჩაღდა მუშაობა. ადგილობრივი ახალგაზრდობა დაუზარებლად მოაწყდა წერტს და თავიდანვე გულმოდგინეთ შეუდგა მეცადინეობას. სამხედრო და პოლიტიკური საქმის შესწავლაში ყველა არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენენ.

წვევამდელი პარტამხანაგები და კომკავშირელები ენერგიულად ასრულებენ ყველა დავალებებს. გამუდმებით სწარმოებს საუბრები და ხმამაღალი კითხვა წერტის ლენინის კუთხეში.

ლენკუთხეში სხვა განყოფილებებიც არის დაარსებული, რომლებიც არა ნაკლებ ინტერესს იწვევენ წვევამდელებში.

იმედი გვაქვს გულმოდგინე მუშაობით ჩქარა გავხდებით წითელი ჯარის ღირსეული მომავალი ცვლა.

სამხკორი ვ. ლე—ვა.

## პასუხად ამხ. გ. სურ—ძეს.

გაზ. „წითელი არმიელის“ № 284-ში მოთავსებული იყო ამხ. გ. სურ—ძეს წერილი, რომელიც სწერდა, რომ 1-ლ წერტზე არა გვაქვს ლიტერატურაო. არ ვიცი დაარება ეს ამხანაგი წერტზე და შედის თუ არა ლენინის კუთხეში. ყოველ შემთხვევაში თუ ის ხშირი სტუმარია კუთხის, წერტზე ლიტერატურის ნაკლებობის შესახებ ის ვერას იტყოდა, რადგან წერტი ამ მხრივ საკმაოდ არის უზრუნველყოფილი.

ჩვენ გვაქვს სწორი და უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ ტფილისის პირველ წერტს, იმ გაზეთების გარდა, რომლებიც სისტემატიურად • მისდის მას, 12 დეკემბერს გადეგზავნა 230 ცალი წიგნი.

ასე რომ წერტი შესაძლებლობის ფარგლებში ლიტერატურით დაკმაყოფილებულია. ჯერ-ჯერობით ამხანაგის შენიშვნა არ არის მართებული.

სამხკორი ე—ლი.

# სამხკორის კუთხე

## როგორ უნდა სწერებოდეს სამეურნეო საკითხებზე.

ხშირად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იწერება კორესპონდენციები სხვა და სხვა ნაწილებიდან სამეურნეო ნაკლოვანებათა შესახებ. სამხკორები იწერებიან, რომ მათ ნაწილში არ არის მოწყობილი ყაზარმა, არ არის განათება, ცხვება ცუდი პური, არ არის წყალის მიწოდების საქმე მოგვარებული, რატომ არ ურიგებენ ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ფარაჯას, არ ვარგა სასადილოს მოწყობილობა და სხ. მრავალი.

სამხკორები ამ საკითხების მოუგვარებლობაში ბრალს სდებენ სამნეო ნაწილს. ისინი სრულიად არ იძიებენ თუ რატომ არის, რომ ნაწილში ცუდი პური ცხვება, ან არ არის წყალი და სხ., დასწერენ კორესპონდენციას და მიუთითებენ ნაკლის გამოსწორებას ვისაც ეს ეხება.

ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ამ ნაკლულევანებათა შესახებ არაფერი დაიწეროს. პირიქით, ამაზე დაწერა საჭირო და აუცილებელიც არის. მხოლოდ ამ საშუალებით ნაკლზე მითითებასთან ერთად უნდა მითითებულ იქნას ის გამოსავალი მხარეები, რომ შესაძლებელი შეიქნეს ნაკლის სავსებით გამოსწორება.

მაგალითისათვის ავიღოთ და ვსთქვათ, რომ ნაწილში არ არის დასალევი წყალი. ამაზე სამხკორი დასწერს კორესპონდენციას და გაამტყუნებს სამნეო ნაწილს ან კომენდანტს და ამით ამოიწურება სამხკორის მოვალეობა. საკითხზე ასეთი მიდგომა არ არის კარგი. სამხკორმა შეიტყო თუ არა, რომ ნაწილში არ არის წყალი, მან მაშინათვე ეს საკითხი უნდა დასვას სამხკორთა კრებაზე, მიიწვიონ აქ სამნეო ნაწილის წარმომადგენელიც და გამოარკვიონ, თუ რატომ არ არის წყალი და რა ზომებია მიღებული ნაკლის გამოსასწორებლად. როცა ამ ნაკლის მიზეზები კარგად იქნება გამორკვეული, ამის შემდეგ სამხკორმა უნდა დასწეროს კორესპონდენცია ნაკლის გამოსასწორებლად. აი ასეთი შენიშვნა მართლაც რომ მოიტანს დიდ ნაყოფს.

ამასთანავე ერთად თუ ჩვენ დავსწერთ მარტო უარყოფით მხარეებზე, ეს არ იქნება საკმარისი. ჩვენს მეურნეობას ჩვენ თითონ ვქმნით. ამიტომ ყოველი მოვლენა და მიღწევა ამ დარგში სამხკორმა უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს.

საკმარისი არ არის ნაკლის გამოსწორებისათვის მიუთითო ყოველთვის სამნეო ნაწილის მუშაკებს, არამედ მათ უნდა გაეწიოს დახმარება საქმით, ამხანაგური დამოკიდებულებით და სხ.

აი ასე უნდა მიუდგეთ ჩვენი ნაწილების სამეურნეო საკითხების გაშუქებას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

მი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით აბანო.

**3-მე ლეგიონი.**

ლეგიონის წითელ არმიელებს არ გვაგზავნიან თავის დროზე აბანოში. ზოგჯერ მთელი თვეობით ვრჩებით ტანდაუბანელი. ამას გარდა ყურადღება არ ექცევა საცვლების თავის დროზე გარეცხის საქმეს. ხშირად გვიხდება რამოდენიმე კვირის განმავლობაში ჭუჭყიანი საცვლების ტარება.

მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით სუფთად ცხოვრების საშვალება.

სამხკორი **ბიკაშვილი.**

### ჩვენ რა დავაშავეთ?

**5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.**

ლეგიონმა მიიღო უფპოლიტშემადგენლობისათვის ტანსაცმელი, რომელიც თანაბრად უნდა განაწილებულიყო ყველა ათასეულებს შორის. მიუხედავად ამისა ტანსაცმელი დაურიგეს პირველ და მეორე ათასეულის უფ-პოლიტშემადგენლობას და მესამე კი ცარიელი დარჩა. რა დააშავა ჩვენი ათასეულის შემადგენლობამ? თუ ყველას არ ყოფნიდა ტანსაცმელი, მაინც რაც იყო ის უნდა განაწილებულიყო ყველა ათასეულებს შორის და უპირატესობით არ უნდა ესარგებლა რომელიმეს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. სად არის სამნეო ნაწილის უფროსი?

**ელპიტაშვილი.**

### სასადილოში უსუფთაობაა.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ცხენოსანი ლეგიონის სასადილოში თითქმის სრულიად არ არის დაცული სისუფთავე. იატაკი სულ დასველებული და ატალახებულია. ხშირად აქცევენ შიგ ქვაბის ნარეცხ წყალს? იქვე სამზარეულოდან გამოდის არხი, რომელშიდაც მყრალი წუმპე სდგას და იქაურობას აბრუებს სუნით. ხშირად მომხდარა რომ წითელ არმიელები ჩავარდნილან შიგ და დასვრილან. ყურადღების მიმქცევი არავინაა. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? მოსპეთ უსუფთაობა.

სამხკორი **პ. კახიძე.**

# უცხოეთის არმიებში

### ფრანგი ჯარისკაცის ცხოვრება.

ფრანგული კომუნისტური გაზეთ „იუმანიტე“-ში მოთავსებული არის დელეგატ ჯარისკაცის მეტად საინტერესო სიტყვა, რომლითაც გამოვიდა ის საფრანგეთის მუშათა ახალგაზრდობის ნაციონალური კავშირის ყრილობაზე:

—ჯარისკაცის მთელი ცხოვრება—ამბობს დელეგატი-დილიდან საღამომდე მიმდინარეობს უხეშ ყაზარმულ პირობებში. მეცადინეობის დროს—მშრალი თოფის მოხმარების შესწავლა, უხეში მოქცევა და ყვირილი, ლანძღვა-გინება და მუშტები უმცროს მეთაურებისაგან.

—სამზარეულოში მშვენიერ ქაღალდზე ჩამოწერილია გემრიელი საჭმელების სია, ხოლო ჯარისკაცის ქვაბში კი მარტო ცარიელი წყალი სდუღს, რომელსაც არიგებენ კერძის სახით. ხორცი ძველი და მატლიანი ეძლევა ნაწილებს.

მანევრების დროს ტევრიან ტყეებში გავლის დროს ჩვენ ხშირად ვამჩნევდით, რომ რაზმის უფროს—ოფიცერს არ შეეძლო ყიბლანის მოხმარა და ამის გამო გვიხდებოდა ტყეში უგზო უკვლოდ მშიერ-წყურვალი ხეტიალი.

მთელი დღე მშიერი ვრჩებოდით, საღამოს ვერც კი მოვასწრებდით მტვრისაგან განთავისუფლებას, თოფის გაწმენდას, რომ იძლეოდენ შეკრების ნიშანს, შემდეგ ღამე, და მეორე დღეს ისეთივე მდგომარეობა, რომელიც გრძელდება 6-სი თვის განმავლობაში დილის 6-სი საათიდან საღამოს 10 საათამდე მოუსვენრად ვართ.

**რამდენი უჯდებათ მანევრები.**

მიმდინარე წელში ამერიკა აწარმოებდა დიდ საზღვაო მანევრებს წყნარ ოკეანეში. მანევრების მიზანი იყო იმის გამორკვევა, თუ რამდენად მომზადებულია ამერიკის საზღვაო ფლოტი იაპონიის წინაამდეგ საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევისათვის.

თუ რამდენად მნიშვნელოვნად სთვლიან ამერიკელები ამ ომს იქედანაც სჩანს, რომ მანევრებისათვის გადადებული იქნა 80 მილიონი დოლარი (160 მილიონი მანეთი).

აქედან ცხადია, თუ რამდენს დახარჯავენ ისინი იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დაიწყებენ არა მანევრებს, არამედ ნამდვილ საომარ მოქმედებას.

**შვეიცარიის არმიის უფროსთა შემადგენლობის მომზადება.**

შვეიცარიაში დიდი ყურადღება ექცევა არმიის მეთაურთა შემადგენლობის მომზადების საქმეს. მაგალითად 9—21 ნოემბრამდე დანიშნული იქნა ოპერატიული ორმხრივი მეცადინეობა 1-ლი კორპუსის მეთაურთა შემადგენლობისათვის. მეცადინეობაში მონაწილეობას ღებულობდენ კორპუსის, დივიზიების და ბრიგადების მეთაურები. თითეული ჯგუფის სათავეში იდგა კორპუსის მეთაური.

ნოემბრის პირველ რიცხვებში ციურიხში (ქალაქია შვეიცარიაში) მოხდა 5-თე ფეხოსან დივიზიის ერთწლიანი მეთაურთა სკოლის გამოშვება. გამოშვებული იქნა სულ 64 ოფიცერი, რომლებიც დაყოფილი იქნენ ჯგუფებად და შეასრულეს სალაშქრო მოძრაობა. ლაშქრობა გაგრძელდა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. სალაშქრო მოძრაობის მიზანი იყო—ახალ გამოშვებული ოფიცრების გამოცდა.

# ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. გიორგი კიკნაძისა და ხუჭუას გამოწვევაზე ვიწერ გაზ. „წითელი არმიელ“-ს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ტფილისის ალმასკომიდან: პლატონ კორძახიას და ამხ. გვალიას.

მეთაურთა სკოლიდან: ათასეულის თავს—ლევან ჩიტაიშვილს, სპორტის ხელმძღვანელს აბესალომ იოსავას და ბატარეიის უფროსის თანაშემწე ამხ. ლორთქიფანიძეს.

ცხენოსან ლეგიონიდან ლეგთავის თანაშემწე ნესტორ ლოლუას.

მე-4 ლეგიონიდან ლეგთავს ამხ. ბელოვს, შალიკო ბოსიკაშვილს, სიმონ მესხს და სევარიანე ანთელავას.

მე-6 ლეგიონიდან: მოზდოკელს და ბიკენტი გვასალიას.

1-ლი დივიზიის მომარაგების უფროსს ამხ. ვახტანგ ხუციშვილს.

1-ლი ლეგიონიდან მნე—ამხ. კაპიტონ კვარაცხელიას, მიშა მიქელაძეს, შოთაძეს და პოლიტხელებს:-გარსევანიშვილს კილასონიას, როდონაიას, ალ. გოგაძეს, ხარბედიასა და ლოგუას.

ქ. სამხ. პოლიტ-სკოლის ასისთავი

**ჯოტო ქუთელია.**

# ამბები სოფლებიდან.

**მეთევზეობა.** ახალქალაქის ალმასკომს განზრახვა აქვს ზოგიერთ მდინარეებში აკრძალოს თევზაობა, იშვიათი ჯიშის თევზების მოშენების მიზნით.

**წყალსადენი სოფლად.** სოფ. ბოლბეს, თოლლაანთ უბნის გლეხებმა დაადგინეს საკუთარი ხარჯით შეუდგენ წყალსადენის გადაკეთებას.

**სოფ. ყვიბის** (ორჯ. ხეობა) გლეხებმა თავისი ძალებით შეაკეთეს ყველა სასოფლო გზები.

**საფოსტო პუნქტები.** რაჭის ალმასკომმა შეადგინა იმ სოფლების სია, სადაც მოწყობილ იქნება საფოსტო პუნქტები.

# ახალი ამბები.

— **გაგზავნა სამხ. თეორეტ. საავიაციო სკოლაში.** საქართველოს „ავიაქიმი“ აგზავნის ლენინგრადის სამხ.-თეორეტიულ საავიაციო სკოლაში 15 კაცს.

— **საქ. ავიაქიმის ყრილობა,** რომელიც უნდა მოწვეულიყო 20 დეკემბერს გადადებულია ხაგაზაფხულო პერიოდისთვის.

— **შრომით დასახიჩრებულნი.** მთელ ტფილისში ამჟამად სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილია 1227 შრომით დასახიჩრებული.

—**ახალი სახელოსნო.** ტფილ. ალმასკომმა დაადგინა გახსნას ახალი საპარიკმახერო-სახელოსნო, მოწყობილი ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად.

— **ტყის დაცვა.** მიწადმოქ. კომისარიატმა ტყის დარაჯთა შტატი გაადიდა 79 კაცით.

— **საზამთრო აგარაკებზე.** სოც. დაზღვ. სამართველომ ქობულეთში გაგზავნა 40 და სოხუმში 30 ავათმყოფი მუშა-მოსამსახურე.

— **დახმარება ომში დასახიჩრებულებს.** დაარსდა კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ომში დასახიჩრებულთა დახმარების საქმეს.

— **სესხი მუშებს.** მუშ. და გლეხ. ინსპექციამ გამოიკვლია მუშებისათვის სესხის მიცემის საკითხი.

# პასუხი შეკითხვებზე.

**ი. კუკულაძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ 1926 წ. შემოდგომაზე.

**მასვე.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 925-25 წ. მოკლე ვადიანი შვებულებით შეგიძლია სარგებლობა განსაკუთრებული ოჯახური მდგომარეობის გამო.

**ხვედურელს.** საკუთარი რევოლვერის ტარება ჯარის რიგებში არ შეგიძლიათ.

**მასვე.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურს შეუძლია წელიწადში ერთხელ ისარგებლოს შვებულებით. წაიკითხეთ რევსამხსაბჭოს ბრძანება № 925—25 წ.

**წ. ა. ბოცვაძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ 1926 წ. შემოდგომაზე.

**მგალობლიშვილს.** საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩაბარება შეიძლება მაშინ, როცა არმიის ბრძანებით დივიზიებთან შესდგება სათანადო გამომცდელი კომისიები. ამის შესახებ იქნება ბრძანება დივიზიისადმი.

**შ. იოსელიანს.** თუ თქვენ გაწვევის დროს სასწავლებელში იყავით, მაშინ სამხედრო სამსახურში არ გაგიწვევდენ. ალბად არ ყოფილხართ მაშინ სასწავლებელში და იმიტომ გაუწვევიხართ. ეხლა ჯარიდან არ გაგანთავისუფლებენ.

**გ. ბეროზაშვილს.** თუ საშუალო ცოდნა გაქვთ, შეგიძლიათ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე და ერთი წლის შემდეგ წახვიდეთ უვადო შვებულებაში.

**ვ. კახიძეს.** მოკლე ვადიან შვებულების შესახებ მიმართედ თქვენს უფროსს. (ბრძანება 925—25 წ.)

**წ. ა. რ—ძეს.** თანახმად არსებულ კანონებისა მიწის ყიდვა გაყიდვა აკრძალულია. თუ თქვენ ნორმა არა გაქვთ, უნდა მიმართოდ მიწის კომისიას.

**კ. თედორაძეს.** თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს წითელარმიელების ოჯახების მიმართ, მაშინ უნდა მიმართოდ სამხედრო პროკურორს.

**ი. ჯიბუტს.** თქვენ როგორც დაბადებული 1903 წ. უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი ქვეითა ჯარში.

**წ. ა. ჯ—ტს.** საშუალო მეთაური ეწოდება ოცის თავიდან ათასეულის თავამდე.

**ა. გოგუას.** თქვენ უნდა იმსახუროთ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად და წახვალთ მათთან ერთად უვადო შვებულებაში.

**მ. ჩხენკელს.** თუ საშუალო ცოდნა არ გაქვთ ისე საშუალო მეთაურის გამოცდებზე არ დაგიშვებენ.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ. იმერლიშვილს** (4-ე ლეგ.) **დადიჩაგრულს** (პოლიტსკოლა) თქვენი კორესპონდენციები: „მოსვლისთანავე სწავლა“ და „პოლიტიკური სკოლა“, გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის.

**ამხ. ტ—კას** (2 ე არტლეგ.) თქვენი წერილი: „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. უფროსი პარტიული ამხანაგები ასედაც უნდა იქცეოდეს თავისთავად.

**ამხ. შუტუს** (3-ე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია, ექსკურსია „ბაგრატის ნანგრევებზე“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გორათელს** (2-ე საკავშირო) თქვენი წერილი პარტიული ცხოვრების შესახებ არ გავა. უშინაარსოა.

**ამხ. ბარათაშვილს** (1-ლი არტლეგიონი) წერილი: „ქვესადგურის საყურადღებოთ უმნიშვნელოა. არ დაიბეჭდება.

**გაზ. „ფუხარას“ რედაქციას.** ყოველდღე გეგზავნებათ გაზეთი „წითელი არმიელი“. სამაგიეროს—გაზ. „ფუხარას“ თქვენგან არ ვღებულობთ.

**მესამე ლეგიონის სამხკორთა ორგანიზატორს ამხ. ჭელიძეს** თქვენი მომართვის თანახმად პირველ დეკემბრიდან სისტემატიურად ეგზავნება გაზეთები ყველა იმ სოფლებს, რომლებსაც გამოუწერეთ თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა გაზ. „წითელ არმიელი“. პირობის თანახმად ფული უნდა შამოგეტანათ 12 დეკემბრამდე მაინც, რაც აქამდე არ მიგვიღია. თუ დაჩქარებით არ შამოგიტანიათ ფული გაზეთების გზავნა შესწყდება და გადაგხდებათ გაგზავნილი გაზეთების საფასური.

**მესამე ლეგიონის სამხკომს.** თქვენი პასუხისმგებლობით გამოწერილი 50 ცალი გაზეთ „წითელ არმიელის“ საფასური ჯერაც არ მიგვიღია. გთხოვთ დააჩქაროთ ფულის შამოტანა.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-6-ე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, ოცეულის მეთაურს ამხ. მატახერია ლავრენტი პეტრეს ძეს. (მცხოვრები ქ. ფოთში). თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო აქვს, ან რაიმე უარყოფითი იცის ზემოაღნიშნულ პირზე, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ათი დღის განმავლობაში.

შემდეგი მისამართით: 1-ლ ქართ. მსროლელ ლეგიონის კომუჯრედში.

# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

**ცალკე ხელის მომწერთათვის:**

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

**წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:**

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

**ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.**

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე